მშვიდობა და მხნეობა აწ და მარადის, ახალ წელს მოგილოცავთ ქვირფასო თანამემამულენო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო სალუქვაძე

ლელო

№ 250 (10 169)
31 დეკემბერი,
კვირა,
1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

სპორტული წლის ლაურეატები

ყოველი რეფერენდუმი, გამოკითხვა, ანკეტა თავისებური სარკეა, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს წლის უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენების გმირებს. ჟურნალისტთა საახალწლო სპორტული ანკეტა, როგორც წესი, ამ ამოცანას ისახავს მიზნად და ტრადიციულად დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პირველი საახალწლო რეფერენდუმი,რომელმაც საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა 1964 წელს გაიმართა და მას შემდეგ სისტემატურად ტარდება. ვიდრე წლევანდელი გამოკითხვის შედეგებს გაგაცნობთ, წარმოგიდგენთ ყველა ადრე გამარჯვებული სპორტსმენის გვარს.

1964. სლავა მეტრეველი (ფეხბურთი)

1965. ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი)

1966. ალექსანდრე მეტრეველი (ჩოგბურთი)

1967. ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი)

1968. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა)

1969. ნანა ალექსანდრია (ჭადრაკი)

1970. თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა)

1971. ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

1972. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა)

1973. ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

1974. ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

1975. ნონა გაფრინდაშვილი (ჭადრაკი)

1976. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა)

1977. დავით კვაჭაძე (კრივი)

1978. მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)

1979. თემურ ხუბულური (ძიუდო)

1980. ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა)

1981. რამაზ შენგელია (ფეხბურთი)

1982. მოჭადრაკე ქალთა ოთხეული (მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი)

1983. თეიმურაზ აფხაზავა (კლასიკური ჭიდაობა)

1984. მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)

1985. დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

1986. მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)

1987. ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)

1988. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)

1989 წლის საუკეთესო სპორტსმენები, ჟურნალისტების პარალელურად, „ლელოს“ აქტიურმა მკითხველებმაც დაასახელეს. გამოკითხვის შედეგები ორივე შემთხვევაში აბსოლუტურად იდენტური გამოდგა. მაშ ასე, ვინ გახდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი

იხ. მე-4 გვ.

1989: საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი



ამირან ტოტიკაშვილი



კობა კურტანიძე



ჯემალ მჭედლიშვილი

ლეილა მესხი



გიორგი ჩოგოვაძე



ხრისტინა ფალასინიდი

ქეთევან კახიანი



ვახტანგ იაგორაშვილი

რუსუდან ხოფერია

ჩუბინმა რა ჰქნას მეტი?..

საახალწლო ინტერვიუ

შეხვედრაზე, რომელიც გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში შედგა, ძალები აშკარად არათანაბარი იყო. ბარიერის (რომლის როლს გრძელი მაგიდა ასრულებდა) ერთ მხარეს ჩვენ, რედაქციის მუშაკები ვიყავით, მეორე მხარეს — სპორტში არსებული ყველანაირი რეკორდისა და ტიტულის მფლობელი, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ნინო სალუქვაძე. ნინო უიარაღოდ იყო, ჩვენ — კალმებით და ეს გარემოება პრივილეგირებულ მდგომარეობაში გვაყენებდა. ჩავატარეთ „შინაური“ პრესკონფერენცია, ერთგვარი კოლექტიური ინტერვიუ ჩვენს სახელოვან სნაიპერთან. „გარეშე პირთაგან“ მხოლოდ მეზობელი — ახალი გაზეთის „შანსის“ რედაქტორი ბონდო ქურდაძე შემოგვეკრა და ხელსაყრელი მომენტის გამოყენებით სრულიად გაამართლა თავისი გაზეთის სახელწოდება. ჯერ ნინოს დახმარებით მისი 1989 წლის სპორტული სეზონის წარმატებები დავითვალეთ (აღმოჩნდა, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს მოპოვებული უამრავი მედლის გარდა მხოლოდ ოთხი და საბჭოთა კავშირის ათი რეკორდი დაუმყარებია), შემდეგ კი ინტერვიუს დროც დადგა.

ბ. ქურდაძე: ნინო, ამჟამად შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოს ტყვიის მსროლელები დამოუკიდებლად გამოვიდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში? თუ გიფიქრიათ ამის შესახებ?

— როგორ არ მიფიქრია, მაგრამ ისიც ვიცი, საკავშირო სპორტსახკომი ახალი წესის შემოღებას აპირებს, იგი ხელშეკრულებას გააფორმებს ყველა სპორტსმენთან და მაშინ არავითარ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი აღარ იქნება. ბალტიისპირეთის სპორტსმენები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან ასეთი ხელშეკრულებების.

● ჩვენი გაზეთი კომერციულია და მეც საქმის კომერციული მხარე მაინტერესებს. გამარჯვებისათვის წლეულს რამდენი მანეთი და ვალუტა მიიღეთ?

— ჯერ არაფერი მიმიღია, თუმცა მეკუთვნის. მსოფლიო ჩემპიონობისთვის, მაგალითად, ექვსი ათასი მანეთია დაწესებული, და კიდევ ამ თანხის 15 პროცენტი იმ ქვეყნის ვალუტით, სადაც შეჯიბრება ჩატარდა.

ბ. ჩოგოვაშვილი: ნინო, უკვე მეორედ გახდით საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, რაიმე განსხვავებას თუ ხედავთ ამ ორ თანაბარ წარმატებას შორის? შეადარეთ შარშანდელი და წლევანდელი სეზონის მიღწევებიც.

— შარშან საუკეთესო მხოლოდ ოლიმპიელებიდან დაასახელეს, ესე იგი სულ რამდენიმე სპორტსმენიდან, მათ შორის კი გარკვეული უპირატესობა მქონდა. წლეულს ჩვენმა ბევრმა სპორტსმენმა მოიპოვა დი-

იხ. მე-2 გვ

ჩუბინმა რა ჰქნას მეტი?..

(დასასრული)

და წარმატებები და მეტოქეც უფრო ბევრი ჰყავდა.

რაც შეეხება მიღწეულს, წლეულს მეტი ჰქონდა, მაგრამ ოლიმპიური მედალი მინც ყველაზე უფრო ფასობს. მე ჯერ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, შემდეგ — ეს უკვე წლეულს — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი.

● **თუ იგულისხმა განსვლილ შეჯიბრებებს. უკვალოდ ხომ არ იკარგებიან თქვენთვის ისინი?**

— ბუნებად ვიგრძენ და ცალკეული დეტალებიც კი მახსოვნება. გულიც მწყდება ზოლმე, რომ ისინი დასოულდა.

● **ბუნიკად ხარო უცხოეთში, ცხადია, ეუფრო ხაქართველოსკენ ეკენკნათ, მით უმეტეს ამ ძნელ დროებაში. რა იყო თქვენთვის ყველაზე ცუდი ამბავი, რომელიც ხაქართველოში ჩამოსულხას გიიგეთ, იქნებ ხასიხარულიც დაახასელოთ?**

— ბოლო ხანს ყველაზე ცუდი ამბავი ჩემთვის მერაბ კოსტავას დაღუპვა იყო. საერთოდ, თბილისში ჩამოსულისას აეროპორტში ვიგებ ახალ ამბებს, მერაბ კოსტავას შესახებ კი მოსკოვში, ვნუკოვოს აეროპორტში მითხრა ერთმა რუსმა ქალმა.

სასიხარულო იყო ხსნის საერთო ეროვნული კომიტეტის შექმნა, ასევე 9 აპრილის ტრაგიკული ამბების შესახებ დადგენილება სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე.

● **ცნობილი პოროვნებებიდან ვინ უფრო იქცევს თქვენს უურადღებას?**

— სპორტსმენებიდან — ვიტქოროს სანეკი, საართოდ კი... მყარა ხვიად გამსახურდიასი.

● **ნინო სიმონოშვილი: რა გრძნობას იწვევს თქვენში მეტოქე, რომელმსაც შეჯიბრებაზე გაკოსიხთ?**

— მართალია გეუნებენით, არაგითარ შურსა და სიძულვილს არ იწვევს. თუ დავმარცხდი — ეს ხომ ჩემი ბრალია და არა მეტოქისა. საერთოდ, სპორტსმენები შეჯიბრების დროს აგრესიულები ხდებიან. რიგი მე და ჩემი ზუბერეიშვილი ქვეყნის ნაკრებში ჩაგვიყვანეს, პისტოლეტის მსროლელ ქალთა გუნდში სამნილი კოსტერეცია, თიოქმის შუდლი იყო. ჩვენ პირველებმა დავიწყეთ მიღოცვა, ვინც გაიმარჯვებდა, მიდგიოდით მასთან და ვულოცავდით. ფუნდში ურთიერთობა თამდეთინ შეიცვალა, უფრო თბილი გახდა. ახვებისა კი რა მოგახსენოთ...

● **ზ. ალბალაძე: თუ არიან ხაკართველოში ხხვა პერსპექტიული მსროლელები, თუ შეუწყო ხელი თქვენს წარმატებებს ტაკვის ბრილის პოპულარობას ხაქართველოში?**

— ნიეიერი მსროლელები მართლაც გვყავს, ოღონდ მათ მომზადების უკეთესი პირობები სჭირდებთ. ბოლო წლეებში საკრძნობლად გაიუმჯობესეს შედეგები პისტოლეტის მსროლელმა ჩემმა თანაგუნდელებმა. საკაროოდ შეჯიბრებებიც აეწეგენ წარმატებებს..

● **ნ. ბაბაკუშვილი: კითხეზენი, რომელსაც ახლა მოგახსენებთ, ჩვენი მოხაზრება გვაქვს, მაგრამ გვაინტერესებს თქვენ რას იტკვით. ორიოდე დღის წინ გაზეთ „სოვეტსკაი სპორტში" დაიბეჭდა ათი ხუუკეთესი ხპორტსმენის სია. უნდა ყოფილიყო თუ არა ამ სიაში ნინო სალუქვაძეც?**

— ამ შეკითხვაზე ზუსტ პასუხს ალბათ „სოვეტსკაი სპორტის" რედაქცია გაგაცნევდათ, ან უფრო სწორად ეს ყურნალისტები, რომელთა ანრის გაბიიერებთაც შედგა ათეული. მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: წლეულს უამრავ საერთაშორისო შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა და ყველა მოვიგე. მეორე ადგილზე არც ერთ ტურნირში არ გავსულვარ. მეტი რა უნდა გააკეთოს სპორტსმენმა, რომ უძლიერესთა ათეულში მოხვდეს, გულადდილად ვთხრათ, არც კი ვიცი. როგორც ჩანს, ჩვენი სპორტის საორტულ ეკონომისტებში პოპულარობით არ სარგებლობს.

რედაქციის პოზიცია:
**ანდა, ორიოდე სიტყვით ჩვენი პოზიციაც ამ საკითხზე: წლეულ-ნდელ ათეულში პირველ ნომრად დასაბეჭდებელია მსოფლიოს ჩემპიონი ჯიდრაკში ბარი ცასპროკი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდაოდ ხუკეთესი ხპორტსმენი. ამ კანდიდატურის წინააღმდეგ, ცხადია, არც ერთ ეუონალისტს არ დასცდება სიტყვა. მაგრამ ერთიც ორის, ცასპროკი უძლიერეს ხპორტსმენად არ აღიარებ მაშინ, როცა მან მარილიკა ტატანური მატჩი მოუგო ანატოლი კარპო

სპორტული წლის ლაურეატები

(დასასრული)

და როგორ გამოიყურება უძლიერესთა ათეული 1989 წლის სეზონის შედეგების მიხედვით?

1. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) მიმდინარე წელს იგი გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მოიგო ევროპის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი, ორი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო თასის გათამაშებაში და ოთხჯერ დაეუფლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს.

2. **ამირან ტოტიკაშვილი** (ძიუდო). მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

3. **კობა კურტანიძე** (ძიუდო). მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

4. **ჯემალ მჯედლიშვილი** (სამბო). მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

5. **ლეილა მესხი** (ჩოგბურთი). საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ერთეულთა და წყვილთა თანრიგში. მოიგო პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი აშშ-ში.

6. **გიორგი-ჩოგოვაძე** (წყალში ხტომა). ევროპის ჩემპიონი. გაიმარჯვა ზაფხულისა და ზამთრის საკავშირო პირველობებში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში.

7. **ხრისტინა ფალასინიდი** (სინქრონული ცურვა). ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

8. **ქეთევან ქახიანი** (ჭადრაკი). მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის.

9. **ვახტანგ იაგორაშვილი** (თანამედროვე ხუთჭიდი). ევროპის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში.

10. **რუსუდან ხოფერია** (ბატუტზე ხტომა). ევროპის ორგზის ჩემპიონი.

აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა ანკეტებში დასახელებული იყვნენ: გ. თენაძე (ძიუდო), დ. დარჩია (ჭადრაკი), ზ. თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), კ. კახიაშვილი (ძალოსნობა), ა. კიბორძალიძე (ძიუდო), მ. ბერუაშვილი (ქართული ჭიდაობა), ო. გაბელია, გ. კეტაშვილი, კ. კაჭარავა (სამივე — ფეხბურთი), ნ. ძაგნიძე (რაგბი), ა. ბურდიანცი (კრივი), ხ. კორკელია (წყლის თხილამურები), ვ. გაბრიჩიძე (ჩოგბურთი).

დასახელებულია აგრეთვე, საქართველოს 10 საუკეთესო მწვრთნელი. ამ რეფერენდუმის ლაურეატები განლაგებულნი არიან ანბანის მიხედვით:

იური გუტიაკულოვი (წყალში ხტომა)

დუგლას კავთელაშვილი (რაგბი)

თეიმურაზ კაკულია (ჩოგბურთი)

გიორგი მაჭარაშვილი (ჭადრაკი)

ნატალია მაშუკი (სინქრონული ცურვა)

ანატოლი ნორაკიძე (ფეხბურთი)

ვახტანგ სალუქვაძე (ტყვიის სროლა)

მიხეილ ფომენკო (ფეხბურთი)

შოთა ხაბარელი (ძიუდო)

თენგიზ ხუდოევი (ბატუტზე ხტომა)

მკითხველთა ანკეტებში მოხსენიებულნი არიან ო. მერაბიშვილი (ძიუდო), ვ. მესტვირიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ზ. კოროხაშვილი, გ. პაპიტაშვილი (ორივე — ძიუდო).

და ბოლოს სამი საუკეთესო გუნდის შესახებ, რომლებმაც 1989 წლის სეზონში ყველაზე უფრო მეტად გაახარეს გულშემატკივრები:

1. ქუთაისის რაგბისტთა გუნდი „აია“;
2. ლანჩხუთის ფეხბურთელთა გუნდი „გურია“;
3. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები

დასახელებულთა გარდა ანკეტებში მოხსენიებულნი არიან სოხუმის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, საქართველოს წყალბურთელ ქალთა კოლექტივი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდები ტყვიის სროლაში, ჭადრაკსა და მშვილდოსნობაში.

რაგბი:

ჩვენთან და უცხოეთში

დამთავრდა ქართველ მორაგბეთა წლევანდელი სეზონის ბოლო შეჯიბრება — უნივერსიადად ცნობილი სტუდენტური ჩემპიონატი. ერთწრიან ტურნირში 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდი (6 ქულით), თბილისის უნივერსიტეტი (5), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შევარდენი“ (2) და თბილისის სამხატვრო აკადემია (0). აღსანიშნავია, რომ უამინდობის გამო შეჯიბრება მეტისმეტად გაიწელა, მაგრამ, წინა წლებისაგან განსხვავებით, თვით მორაგბეთა მონდომების წყალობით, ტურნირი მაინც დასრულდა. შეგახსენებთ, რომ წლევანდლამდე, უნივერსიადის დამთავრება მხოლოდ ერთხელ, 1983 წელს მოხერხდა. პირველ ამგვარ შეჯიბრებაში მაშინ უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა.

• • •

ინგლისის ქალაქ ლესთერში, ტრადიციულ საშობაო მატჩში, ადგილობრივი კლუბი შეხვდა „ბარბაროსებს“, რომლებმაც ამ თამაშისათვის საკმაოდ ძლიერ მორაგბეებს— ავსტრალიელ ქემფიზის, ინგლისელებს — ჭარლინგსა და ჰელიდეის და სხვებს მოუყარეს თავი. თამაში, რომელიც „ლესთერისა“ და ინგლისის ნაკრების გამოჩენილი გარე ნახევარმცველის ლუზ ქასვორსის რაგბიდან გაცილებას მიეძღვნა, მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 32:16.

„ლელოს“ საახალწლო კონკურსი

„იტალია—90“

მთელი სპორტული საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა დმი, რომლის გადამწყვეტი, ფინალური ტურნირი გაისად, 8 ივნისიდან 8 ივლისამდე გაიმართება იტალიის ქალაქებში.

ამასთან დაკავშირებით „ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს პროგნოზისტთა კონკურსი „იტალია-90“. კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთი აზრი გამოთქვან იმ კითხვებზე, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ:

1. დაასახელეთ მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარ ჯგუფებში გამარჯვებულები (I-II ადგილები).
2. დაასახელეთ ის 4 გუნდი, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში მესამე ადგილებზე გავლენ და მერვედფინალში მიიღებენ მონაწილეობას.
3. დაასახელეთ გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან მესამე ადგილისთვის.
4. დაასახელეთ ფინალის მონაწილენი და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი.
5. დაასახელეთ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი.
6. ვინაგან ელით ყველაზე დიდ სენსაციას მსოფლიო ჩემპიონატში?
7. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ტრადიციულად შედგება მსოფლიოს იდეალური ნაკრები. მოხვდება თუ არა ამ ნაკრებში საბჭოთა ფეხბურთელი?
8. ვინ გახდება ჩემპიონატის ბომბარდირი?

საკონკურსო წერილების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1 ივნისი, წარწერით: „კონკურსი „იტალია-90“.

ლანჩხუთის „გურია“: 1. მერაბ კაციტაძე, 2. სერგეი კუზნეცოვი, 3. ავთანდილ ჭანთარია, 4 ალექსანდრე ოდზმოროვი, 5. შიხეილ ოლიფერენკო, 6. მერაბ უორდანია, 7. თემურ კაბისაშვილი, 8. დავით უგრელიძე, 9. მერაბ თევზაძე, 10. მამუკა აბუსერიძე, 11. თემურ ჩხაიძე (გუნდის უფროსი), 12. ალეზორ გაბიტაშვილი (მასაჟისტი), 13. ენრიკო ბერიშვილი, 14. გია გურ უელი, 15. ოთარ კორდალიძე, 16. დავით ცომაია, 17. გოჩა ტყეებუჩავა, 18. ბესიკ ფრიდონაშვილი, 19. ლევან ბარათაშვილი, 20. ბადრი დანელია, 21. მიხეილ ფომენკო (გუნდის უფროსი მწვრთნელი), 22. დათო ნეფარიძე, 23. გია იმნაძე, 24. დიმიტრი ზაალიშვილი, 25. კობა ორმოცაძე.

ნოდარ მდივანის მეგობრული შაქრი.

საუკეთესოა—ჩერენკოვი

მოსკოვის სპარტაკელი, 30 წლის ფიოდორ ჩერენკოვი მიჩნეულია 1989 წლის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად. ტრადიციულ ანკეტაში, რომელსაც ყოველკვირეული გაზეთი „ფუტბოლ-ხოკეი“ ატარებს, მან ნიშნშენელოვნად გაუსწრო მეტოქეებს. ამჯერად გამოკითხვაში 162 სპორტული მომმხილველი მონაწილეობდა. მათგანმა 90-მა პირველი ადგილი ჩერენკოვს მიაკუთვნა. სულ კი სპარტაკელმა თავდამსხმელმა 345 ქულა მოაგროვა.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა ჩერენკოვის თანაგუნდელმა, 26 წლის მეკარემ სტანისლავ ჩერჩესოვმა (172 ქულა, 15 პირველი ადგილი).

მესამე ადგილზეა კიევის „დინამოს“ მოთამაშე, 31 წლის ვლადიმირ ბესონოვი (164 და 29). ასეთი გამოკითხვა უკვე 26-ედ მოეწყო.

რეიტინგი ასახელებს უძლიერესებს

მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა წლევანდელი სიის სათავეში კვლავ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვია, თანაც მთელი ისტორიის მანძილზე სარეკორდო მაჩვენებლით — 2800. ასე გამოითვალა იუგოსლავიის ქალაქ სმედერევსკა პალანკაში საჭადრაკო საინფორმაციო ცენტრმა „გოშამ“, რომელიც აღნიშნულ სიებს უმზადებს ხოლმე ფიდე-ს. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი ექსპერტების გამოთვლით მსოფლიო ჩემპიონის კოეფიციენტი 2810-საც კი აღწევს.

უძლიერესთა შორის სიაში მეორეა **ანატოლი კარპოვი**, რომელიც უკვე 70 ქულით ჩამორჩება კასპაროვს. მესამე ადგილზეა **იან ტიმანი** (ჰოლანდია, 2680), შემდეგ არიან: **ვასილი ივანჩუკი** (სსრ კავშირი, 2665), **ვალერი სალოვი** (სსრ კავშირი, 2645), **მიხეილ გურევიჩი** (სსრ კავშირი, 2645), **ალექსანდრე ბელიავსკი** (სსრ კავშირი, 2640), **ნაიჯელ შორტი** (ინგლისი, 2635), **ულფ ანდერსონი** (შვეიცარია, 2630), **ვიქტორ კორჩნოი** (შვეიცარია, 2625) და **ლიუბომირ ლიუბოევიჩი** (იუგოსლავია, 2625).

ქალთა შორის პირველ ადგილზეა 13 წლის უნგრელი **იუდით პოლგარი** — 2550. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ იუდითის კოეფიციენტი შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით 5 ქულით შემცირდა. მეორე ადგილზეა იუდითის უფროსი და **უუფა პოლგარი**, — 2500, მესამეზე — **ნანა იოსელიანი** — 2475, მხოლოდ მეოთხეა მსოფლიო ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** — 2470, მეხუთეზე — შვედი **პია კრამლინგი** (2470), მეექვსეზე — **ნონა გაფრინდაშვილი** — 2435.

— სად ითამაშებ, ძმობილო?

1990 — ცხენის წელიწადი!

ეს საახალწლო ნახატები შემოგვთავაზა ვახტანგ კუციამ.

— მეკვლე! შენ რა ფერის ქამარი გაქვს?

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1990 წლის 3 იანვარს.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10596